წელიწადი მესამე

ფასი 10 კაპ.

შაბათი, 1917 წ. მკათათვის 15 (28)

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ტელეფონი 15—73

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. акц. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] კ., უკანასკნელზე—20 [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა [illegible] სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი. მხოლოდ ქალაქში. ქალაქ გარეთ გაზეთი ერთი თვით არ გაიგზავნება.

№ 153 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 153

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

დროებით მთავრობამ დაადგინა შეაჩეროს ის გამოცემები, რომლებიც სამხედრო მთავრობის წინააღმდეგ და სამოქალაქო ომის ასატეხად ხალხს მოუწოდებენ. ამისთანა გამოცემათა რედაქტორები სამართალში მიიცემიან.

რუსის ჯარი კვლავ უკან იხევს. რუმინეთის ფრონტზე კი იმარჯვებს.— ფრანგებმა კალიფორნიის ზეგანზე გაიმარჯვეს.— წყალ-ქვეშებმა დაჰლუპეს ინგლისის ჯავშნოსანი „ოტვეი".

### წ ე რ ი ლ ე ბ ი

მეთაური. საქალაქო არჩევნებისთვის.

ლ. ჯაფარიძე. კავკასიის რეფორმები და პეტროგრადი.

ქართული პრესა. კავკასიის ერთა კრება.

ზ. ჭიჭინაძე. ძველი ტფილისი.

ქართველ მეომართა ხმა. ჩრდილოეთის ფრონტის სომეხ-ქართველთა აღმასრულებელ კომიტეტების შეერთებული კრება

დუშეთის მაზრის სარევიზიო კავშირის წესდება.

დეკ. იაშვილის წერილი რედაქციის მიმართ.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მშვიდად გარდაიცვალა დეკანოზ გიორგი ლაზარისძის ქვრივი

სალომე კონსტანტინეს ასული

ხ ე ლ ი ძ ი ს ა

რასაც გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ყველა ნაცნობ-ნათესავთ მწუხარებით გულმოკლული ქალიშვილები, სიძეები და შვილიშვილნი.

პანაშვიდი საღამოს 9 საათზე; მიცვალებულს ბინიდან (უფიმცევის ქ. № 31) წმ. დავითის საყდარში გამოასვენებენ მკათათვის 16-ს, დილის ათ საათზე და დაკრძალვა—წირვის შემდეგ ამავე ეკლესიის სასაფლაოზე.

2—709—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ შაბათს, მკათათვის 15 ს, ნიხდება წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო ყრილობა ქართულ გიმნაზიის შენობაში, საღამოს 9 საათზე

კ რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი ა:

საქალაქო არჩევნებისათვის მომზადება და დარაზმვა ჩვენი წევრებისა და თანამოაზრეებისა

მოხსენებას წაიკითხავს

გ. დ. ჟ უ რ უ ლ ი

კომიტეტი სთხოვს წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას და რაც შეიძლება მეტი თანამოაზრენი მოიყვანონ. ახალ წევრებათა ჩაწერვა მიიღება „საქართველოს" რედაქციაში ბ. ე. ი. გიგეჭკორთან.

2—761—1 საქ. ეროვნულ დემ. პარტ. 1-ლი უბნის კომიტეტი.

მ ო წ ო დ ე ბ ა

ორშაბათს, მკათათვის 17-ს, საღ. 7 საათ. ახალ საკრებულოს ბინაზედ (ყოფილი ხარფუხის კლუბი) მიხეილის ქუჩა № 129—დანიშნულია,

ეროვნულ-დემოკ. პარტიის მე-10 და მე-12 უბნის წევრთა

საერთო კრება

განსახილველი საკითხები:

1) საარჩევნო უბნების ზედამხედველ პირთა არჩევნები.
2) მოხსენება ქალაქის საბჭოში არჩევნების შესახებ.

1—769—1

## ქართველნო მოქალაქენო!

### მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას!

# № 2.

### საქართველოს ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია.

1. **ჟურული** გიორგი დურმიშხანისძე—ქალაქის ხმოსანი. ქალაქის საბჭოს წევრი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი.
3. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი.
4. **კიკოძე** გერონტი დიმიტრის ძე—პუბლიცისტი.
5. **ვეშაპიძე (ვეშაპელი)** გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი.
6. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
7. **ლორთქიფანიძე** იასონ მერაბის ძე—ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
8. **გოთუა** პართენ ალექსანდრეს ძე—სამეურნეო ბანკის დირექტორი.
9. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე—ჟურნალისტი, კოოპერატორი.
10. **ივანიცკი** რაფაელი ალექსანდრეს ძე—(**რ. ინგილო**) სამართლის კანდიდატი.
11. **ბერელაშვილი** ვასილ გერასიმეს ძე—კომერსანტი.
12. **ასათიანი** ალექსანდრე სამსონის ძე—ჟურნალისტი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
13. **წვერავა** ნიკოლოზ ესტატეს ძე—ხმოსანი ქ. თბილისის.
14. **ქურდიანი** გიორგი ზაქარიას ძე—ინჟინერი.
15. **თაყაიშვილი** ექვთიმე სიმონის ძე—ისტორიკოსი, თავმჯდომარე საქ. საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებისა.
16. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე—ექიმი.
17. **მამრაძე** პეტრე გრიგოლის ძე—ინჟინერ-ტეხნოლოგი.
18. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე—ექიმი.
19. **გაბაშვილი** ლეონიდე ალექსანდრეს ძე—კოოპერატორი, ჟურნალისტი.
20. **თუმანიშვილი** პავლე იოსების ძე—ნაფიცი ვექილი.
21. **მაჭავარიანი** გიორგი ლუარსაბის ძე—ნოტარიუსი.
22. **ერისთავი** დომინიკა ზურაბის ასული—(**გაბდევილი**)—მწერალი.
23. **ჩიჯავაძე** თამარა დავითის ასული—მასწავლებელი.
24. **დუმბაძე** დიმიტრი მოსეს ძე—პედაგოგი.
25. **გუნცაძე** ირაკლი ალექსანდრეს ძე—ნაფიცი ვექილი.
26. **ქვარიანი** სიმონ ალექსის ძე—აგრონომი.
27. **ლალიძე** მიტროფანე ერმოლაის ძე—მრეწველი.
28. **გაბუნია** სილოვან გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
29. **კახიძე** ვასილი ბესარიონის ძე—ხარჯთა კრეფის ინსპექტორი.
30. **გველესიანი** იოსები ისოსების ძე—კომერსანტი.
21. **მერკვილაძე** იოსებ ნიკოს ძე—ვაჭარი.
32. **თიკანაძე** ივანე ელიზბარის ძე—ექიმი.
33. **მაღალაშვილი** ივანე გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
34. **ვაჩნაძე** ლევან ალექსანდრეს ძე—ხმოსანი (ქალაქის)
35. **მერკვილაძე** ნოშრევან ნიკოლოზის ძე—ხელოსანი.
36. **ბერძნიშვილი** ივანე სიმონის ძე—ხელოსანი.
37. **ივანიცკი** ვახტანგ აპოლონის ძე— მთის ინჟინერი.
38. **ხახუტაშვილი** ნიკოლოზ ანტონის ძე—ვაჭარი.
39. **გარაყანიძე** ვასილი ავთანდილის ძე—ბუღალტერი.
40. **ჭყონია** სეონ შერვაშიძის ძე—კომერსანტი.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ სახპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. ჩვენი ქვეყანა 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკელია.

### თბილისი, მკათათვის 15.

## საქალაქო არჩევნებისთვის

საქალაქო არჩევნების დრო მოახლოვდა.

ამ მოკლე ხანში ყველანი წარვსდგებით საარჩევნო ყუთების წინ, რომ ბედი ქალაქისა და საქმენი მისი მართველობისა გადავცეთ ღირსეულ პირთ და აღვჭურვოთ ისინი სათანადო ნდობით.

საჭიროა დიდი მუშაობა და ჩვენ ძალთა სრული დარაზმვა, რომ ამ ნდობით ღირსეული პირნი აღიჭურვონ, ესე იგი ისინი, ვინც საუკეთესო დამცველნი იქნებიან ჩვენი ინტერესებისა.

ჩვენი ინტერესები კი ქართული ინტერესებია—ინტერესები საქართველოსი.

ცხადია, რომ ამ ინტერესებს საუკეთესოდ დაიცავენ მხოლოდ ქართველი ხმოსნები.

ამ თვალსაზრისით, რომ ვიხელმძღვანელოთ საარჩევნო ყუთების წინ ჩვენთვის ქართულ და არა ქართულ ინტერესთა დაპირისპირება იქნება.

ეჭვს გარეშეა, რომ ის ელემენტები, რომელთათვის ჩვენი ქირ-ვარამი უცხო და გაუგებარია საგრძნობელ ძალას წარმოადგენენ და ეს კიდევ უფრო გვავალებს დავძაგროთ ყველა ძალები, ყველა ქართველი ამომრჩევლები უნდა შემოკრბენ ერთად, რომ ძალთა დაქსაქსვამ, უფრო არ გააძლიეროს უცხოელობა.

საჭიროა დიდი მუშაობა, რომ ჩვენი ხალხის ბედი ჩვენი უნიათობით და უმოქმედლობით არ გადავცეთ ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რომელნიც ჩვენს სატკივარს არაფრით დაინტერესდებიან.

ტეხნიკური სამზადისი არჩევნებისთვის უკვე დასრულებულია; სიები საბოლოოთ არის შედგენილი და ვინც დაკარგა ხმა, მისი მოპოვება აღარ შეიძლება.

ეხლა მათი ვალია, ვინც საარჩევნო უფლებით აღჭურვილია, არ დაკარგოს თავის უფლება და სრული შეგნებით მივიდეს საარჩევნო ყუთთან. განსაკუთრებული დამტარებელნი 14 ამ თვიდან 27-მდე ყველა მოქალაქეს საარჩევნო ბარათებს მიაწოდებენ თავის ბინაზედ და მათთვის, ვინც ამ ბარათებს არ მიიღებს საზრუნავია გაისარჯოს და ეს ბარათები წინდაწინ მოიკითხოს. ამ ბარათებზედ აღნიშნული იქნება გვარი და სახელი და აგრეთვე ის ადგილიც, სადაც ამომრჩეველმა ხმა უნდა წარადგინოს. ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა წინდაწინ მოიკითხოს ყველამ ეს ბარათი, რომ თავისი მდგომარეობა დროზედ გამოარკვიოს.

ახსოვდეს ყველას, რომ ის საქალაქო არჩევნებში საქართველოს წინაშე იხდის ვალს, და ეს ავალებს სრული შეგნებით გაიმსჭვალოს, რომ არ დაუკარგოს ხმა იმ პარტიას, რომელიც განსაკუთრებით იცავს საქართველოს ეროვნულს და დემოკრატიულს ინტერესებს.

## კავკასიის რეფორმები და პეტროგრადი

საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმათა გარდაქმნა და ახალი წყობილების დამყარება არც ერთ მხარისთვის არ არის ისე საჭირო, როგორც ჩვენთვის, ვინც მარად დავიწყებული ვიყავით ყოველი ზრუნვისაგან და ერთ ორ მმართველ ბიუროკრატისადმი მინდობილი, მისი მარჯვენა ან მარცხენა ხელის სურვილს და ნებას უნდა დავნდობოდით.

მიღწევა იმ მცირეოდენი კეთილყოფისაც კი, რუსეთის შიდა გუბერნიებს რომ ქონდათ მიკუთვნილი, ჩვენთვის დიდი ხვეწნა-მუდარის და გარჯის საგანი იყო.

გამგებლობა საქართველოსიც და მთელი კავკასიისაც ამ მხარეთა დაუკითხავათ სწარმოებდა და უდიდესი მნიშვნელობის საკითხნი, რომელსაგან დამოკიდებულნი იყვენ ერთა კულტურულ-ეროვნული ფორმების განვითარება, სწყდებოდა ამ ერთა მონაწილეობის გარეშე, პეტროგრადის რომელიმე დეპარტამენტში; მთელი ერის ბედი, რომელიმე უვიც მოხელისაგან იყო დამოკიდებული და სავსებით მინდობილი მის კეთილ განწყობილებას ამ ერთან, ან უმეტეს შემთხვევაში, იმ მოხელეთა პირად მეგობრობას ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთან.

რევოლიუციის აზრი მარტო იმაში კი არ ისახება, რომ ერთი მთავრობა მეორეთი შეიცვალოს და სახელმწიფოს სამმართველო ძალა-უფლებამ ერთ პოლიტიკურ ჯგუფისაგან მეორეში გადაინაცვლოს; ეს ასე ხდება და მოხდა კიდეც, მაგრამ ეს არ სწვდება რევოლიუციის აზრს.

ძველი წყობილების დანგრევით უნდ დანგრეულიყო ძველი წესიც მართველობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმათა გარდაქმნა თვით საზოგადოების ძალთა ფართო მონაწილეობით და ადგილობრივი ინტერესების მიზან შეწონილათ უნდა და[illegible]ბულიყო.

ეს უკანასკნელი კი ნიშნავს ყველა ამა თუ იმ მხარის, ან ამა თუ იმ ერის შესახები კანონპროექტის ადგილობრივ შემუშავებას რადგან ვერავინ ვერ იქნება დაინტერესებულნი და განსაკუთრებულ პირობათა ცოდნით აღჭურვილი ისე, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ამ პირობებთან თან შეზრდილნი. პეტროგრადს, რუსეთის საერთო საგამგებლო საქმეებით დატვირთულს, არ ძალუძს ჯეროვანად დააფასოს ყველა ის პირობები, რომელნიც ადგილობრივ უფრო ნათლად სჩანან და არც აქვს ზნეობრივი უფლება თავზედ მოახვიოს თავისი აზრი, თუ სახელმწიფოში მივიღებთ უკვე საკმაოდ აღიარებულ მართველობის ფართო დეცენტრალიზაციის პრინციპს.

ჩვენს გაზეთში პეტროგრადიდან ცნობა იყო მოთავსებული, რომ იქ ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა მთავარ მართველობასთან ბ-ნ ვესელოვსკის თავმჯდომარეობით შემდგარა თათბირი, რომელსაც თავს უდვია კავკასიის რეფორმათა შესახებ პროექტების შედგენა და რამოდენიმე საკითხის შესახებ, რომელთა შორისაც არის ისეთი დიდად მნიშვნელოვანი და ხანგრძლივად ნაკამათები საგანი, როგორიც არის ერობის შემოღება, თავისი პროექტი შეუდგენიათ. ამ თათბირში ქართველებიც არიან მოწვეულნი.—ბ-ნი ავალიშვილი, სიდამონერისთავი და სხვანი. არიან სომხებიც და მაჰმადიანებიც, მაგრამ ეს პირები უფრო თავისი პირადი პასუხისგებით შედიან, რადგან არც პარტიული და მით უმეტეს ეროვნული წარმომადგენლობით აღჭურვილნი არ არიან და ამ თათბირის გარდაწყვეტილებათ და მუშაობას არავითარი რეალური ღირებულება არა აქვს. ამ თათბირის მოღვაწეობა ჩვენის აზრით სრულიად უაზროა, რადგან იგი ჩვენს თანხმობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს

და მათი დადგენილებანი უთუოდ ადგილობრივ უარყოფილი იქნებიან; და სრულიად გაუგებარია რად დასჭირდა საშინაო საქმეთა მთავარ მართველობას ასე შინაურულად მოწყობა ასეთ დიდი მნიშვნელობის საქმისა.

ვიცით აგრეთვე, რომ ცალკე მოღვაწეობს ბ-ნი ევანგულოვიც, რომელიც თავისი შოვინისტური სომხური პოლიტიკით და თავის ზრახვათა გაყვანაში ყოველივე ზომების დაურიდებლობით საკმაოთ არის ცნობილი ქართულ საზოგადოებაში.

ის ახალ სარევოლუციო მთავრობის მიერაც ისევე არის ნდობით აღჭურვილი, როგორც ძველათაც იყო და კავკასიის გამგებლობის საქმეთა ცენტრშია მოქცეული პეტროგრადში. მის მიერვე გაზეთ „ბაკუ“-სადმი მიწოდებული ცნობით მის მონაწილეობით საშინაო საქმეთა სამინისტროში გადაუწყვეტიათ, რომ იქ შეადგინონ კავკასიის ახალ გუბერნიებად დაყოფის პროექტი და უკვე დამზადებული გაეგზავნოს გამიჯვნით დაინტერესებულ რაიონების მცხოვრებთ.

ჩვენის აზრით ასეთი ბიუროკრატიული წესი რეფორმათა შემუშავებისა ყოვლად შეუწყნარებელია და სასტიკად უარსაყოფი დღევანდელ სარევოლუციო ხანაში.

ძველი ბიუროკრატიული ცენტრალიზმი, და მასთან დაკავშირებული ადგილობრივ პირობათა უყურადღებობა, ძველ წყობილებასთან ერთად ისტორიაში უნდა გადავიდეს და შენება ახალ ცხოვრებისა უნდა მიენდოს ადგილობრივ ორგანოთ, რომელნიც ხალხის ნდობითაც იქნებიან აღჭურვილნი და ჯეროვანი ავტორიტეტიც ექნებათ სითანადოთ დააფასონ ყველა ის განსაკუთრებულნი პირობები, რომელნიც უცხონი არიან პეტროგრადის მოღვაწეთათვის.

**ლ. ჯაფარიძე.**

## ქართული პრესა

**კავკასიელ ერთა კრება.**

სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის იმ მემორანდუმის შესახებ, რომელიც კავკასიის ერთა კრების მოწვევისაკენ იხმობდა პარტიებს და ერებს, სოც.-დემოკრატ ავტონომისტების გაზეთში ნ. საქარელი სწერს:

„სოც.-ფედერალისტების გადაწყვეტილება, თავისთავად მეტად სიმპატიური, სწორედ იმით არის სუსტი, რომ იგი თითქოს გვერდს უვლის შინაურ ინტერპარტიულ შეთანხმებას; თითქოს განზე სტოვებს საერთო, ყველასათვის მისაღებ პოლიტიკურ პლატფორმაზე ეროვნულ გაერთიანებას და პირდაპირ, შეუთანხმებლად და მოულაპარაკებლად, გვიწვევს ამიერ-კავკასიის ეროვნებათა ყრილობაზე...

„...თუ ეს შინაური ინტერპარტიული და ეროვნული შეთანხმება არ მოხდა, კავკასიის ერთა ყრილობაზე ჩვენი მონაწილეობა ერთობ უხერხული იქნება და თვით ყრილობაც ნაკლებ ნაყოფიერი გამოდგება. მართალია დრო ცოტაღა დაგვრჩა. დამფუძნებელი კრება კარზე გვადგია და საერთო კავკასიური ინტერნაციონალური საკითხების განხილვა და გადაჭრა, ურთიერთული გაცნობა და შეთანხმება დასაჩქარებელია, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მოახლოვებულია დამფუძნებელი კრების მოწვევა და საერთაშორისო შეთანხმების და თანამედროვე რევოლიუციური საკითხები რიგ-რიგად გვიდგება წინ გადასაჭრელად, აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ ჩვენი ინტერპარტიული თათბირის მოწვევა. ასეთი ინტერპარტიული თათბირის ტრადიცია ჩვენ უკვე გვაქვს. საჭიროა განახლდეს მოლაპარაკება ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა და ჯგუფთა შორის, რათა რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნეს ქართველი ერის წარმომადგენლების ყრილობა. ამას თხოულობს როგორც საერთაშორისო შეთანხმების ინტერესები, ისე ჩვენი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და პრაქტიკული საჭიროება.

რაც შეეხება თვით საერთაშორისო ყრილობის მოწვევას, ყრილობის შემადგენლობას და მის ფორმას—პარალელური იქნება თუ სხვანაირი, ვფიქრობთ, ყოველივე ეს უმჯობესია გადაწყდეს ჩვენს ინტერპარტიულ თათბირზე და ჩვენი შინაური შეთანხმების შემდეგ“...

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 13. დასავლეთის ფრონტი. ვილნის მიმართულებით ზარბაზნების სროლაა. განსაკუთრებით სმორგონ-კრევოს რაიონში. [illegible]

[illegible]

**ციალი.** იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით თავდასხმის დროს 114 ტყვე წამოვიყვანეთ. მონშილე პრეს აღმოსავლეთით და ლომბარძიუდეს მახლობლად წუხელ მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა.

**ლონდონი.** მკათათვის 12. მონში- [illegible]

[illegible]

...გან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: მკათათვის 9 ს სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები ვლადიმირის ჩამოვედით. არტილერიის იმ ორმა ეშელონმა, ჯავშნიან ავტომობილებმა, ქვეითა ჯარმა, ცხენოსნებმა და მე-82 ე პოლკმა რომელთაც ამას წინად ომში გასვლაზე უარი განაცხადეს და თავიანთ დადგენილების დაცვას იარაღით აპირებდნენ—ეხლა ზურგი უქციეს თავიანთ ბელად ბოლშევიკებს და ფრონტზე გასვლის სურვილი ერთხმად განაცხადეს.

**გერმანელთა განზრახვა**

**რიგა.** მკათათვის 13. ტყვეების და სხვა წყაროების ჩვენებით გერმანელები ლაშქრის სულიერ განწყობილების ადსაფრთოვანებლად ავრცელებენ ხმებს, რომ მათ დიდ მანძილზე გაარღვიეს საზხრეთ-დასავლეთის ასპარეზი და დიდძალი ტყვეები წამოიყვანეს, საზხრეთ-დასავლეთის გეგმის შემდეგ დაიწყება დიდი შეტევა პეტროგრადზედ გერმანეთის ბალტიის ფლოტის შემწეობით. მიუხედავად ამისა, რიგის ასპარეზზე დიდი სიწყნარეა. მიტავის ჯგუფის ნაწილები სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზზე გადაჰყავთ.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ც. აღმას. კომიტეტის და მ. და ჯ.-კაცთა გლეხთა დეპ. სხდომა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 13. ჩხეიძის თავმჯდომარეობით მოხდა ცენტ. აღმასრ. კომიტეტის და მ. ჯ. დეპუტ. და გლეხთა დეპუტატების შეერთებული სხდომა. პირველად კერენსკიმ ილაპარაკა. მან წარმოსთქვა: ჩავიბარე რა დრ. მთავრობის თავმჯდომარის მძიმე თანამდებობა—მოვედი, რათა მივესალმო სრულიად რუსეთის დემოკრატიას. დროებით მთავრობის მიერ ვაცხადებ, რომ მას ჰსწამს ჭკუა და სვინიდისი რუსეთის ხალხისა, კერძოდ კი დემოკრატიისა, რომელიც შესძლებს რუსეთის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას. ჩვენი ფრონტის გარღვევის გამო, რაიცა მოახდინეს საზიზღარმა გერმანელ აგენტებმა—მთავრობა მედგრად ებრძოლება ყოველგვარ რეაქციონურ ცდას და ანარქიას. ძლიერი მუშტი—ვერ შეარყევს სახელმწიფოს (ტაში). ფრონტის უბედურობა გვიკარნახებს—რუსეთის ლაშქრის ძალთა აღდგენას. მოსკოვში მომავალ სრულიად რუსეთის სხდომაზედ დროებით მთავრობა მოუწოდებს სახელმწიფოს და რევოლუციის სახსნელად. ამ სხდომაზედ მოიწვევენ რუსეთის ყველა ორგანიზაციებს. კერენსკი თხოვნით მიჰმართავს ყველა ცენტრალ კომიტეტებს—დაესწრნენ სხდომას სრულის შემადგენლობით.

სხდომას დაესწრობიან პეტროგრადის, და მოსკოვის ქალაქის საბჭოები, სავაჭრო-სამრეწველო კლასი, სრულიად რუსეთის კოოპერატიულ და პროფესიონალ კავშირთა ცენტრალი კომიტეტები, უნივერსიტეტები და სხვა დაწესებულებანი. ამ სხდომაზედ დრ. მთავრობა ნათლად და სრულის სინამდვილით გადუშლის მათ დღევანდელ მდგომარეობის სურათს, და კათეგორიულად აჩვენებს, რომ სახელმწიფოს გამგეობა უნდა აშენდეს კოალიციონურ პრინციპზედ რომ სახელმწიფოს ყველა ცოცხალი ძალები უნდა გაერთიანდნენ, დროებით მთავრობის გარშემო. პირადად თავისით კერენსკი აცხადებს: „პირადად აღმასრულებელ კომიტეტებმა მხარი უნდა მისცეს მთავრობას და გამოეყოს ყოველგვარ რეაქციონურ ძალებს (მქუხარე ტაში).

**ჩხეიძემ** ც. ა. კომიტეტის მხრივ განაცხადა: „მთავრობა, იპოვის საჭირო დახმარებას. ჩვენ არას დავზოგავთ რუსეთის და რევოლუციის სახსნელად (მქუხარე ტაში ძახილით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ გაუმარჯოს რევოლუციის მხსნელ მთავრობას!) ყველანი დგებიან და ტაშისცემით ეგებებიან კერენსკის; პრეზიდიუმის წევრები ხელსართმევენ; კერენსკის ჰკოცნის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ავქსენტიევი.

კერენსკი ბრუნდება ტრიბუნიდან და აცხადებს: „დროებით მთავრობის მიერ გაძლევთ ფიცს, რომ ყოველგვარ ცდას მონარქიის აღდგენისათვის შევებრძოლებით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“-ო.

**დანმა** განაცხადა: „ის რაც სთქვა კერენსკიმ შეურაცხყოფილია მენშევიკების მიერ. ჩვენ არა თუ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ დრ. მთავრობას, მოვითხოვთ კიდეც, რომ მინიჭებულ უფლებით იმოქმედოს. გამიჯვნას გამოდანი აბები: ჩვენ კერენსკის მოწოდებამდე ვებრძოდით მათ, რომელთაც ჩვენის აზრით რევოლუციაში დეზორგანიზაცია შეჰქონდათ. დანი სთხოვს მიიღონ რეზოლუცია, რომელიც შემუშავებულია მენშევიკების და სოციალ-რევ. დილის სხდომაზედ. რეზოლიუციაში განცხადებული: „რევოლუციონური დემოკრატია, დაინტერესებულია ბოლშევიკების იმ ჯგუფით, რომელთაც გერმანელთა მიერ ქრთამის აღებას აბრალებენ. (აღმასრულებელი კომიტეტები?) ბოლშევიკურ ფრაქციებისაგან მოითხოვენ კატეგორიულის მსჯავრის დადებას მათს ბელადებზე. წინადადება ეძლევა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს, რომ რაც შეიძლება მალე აღასრულოს დადგენილება მთელი შემადგენლობის ხელ-ახლად გადარჩევაზედ. გლეხთა დეპ. აღ. კომიტეტის მხრივ ავქსენტიევმა განაცხადა, რომ აქ საკითხი ეხება რუსეთს და მის თავისუფლებას—უნდა დავეხმაროთ მთავრობას და ცხოვრებაში გავატაროთ რევოლუციონური დიქტატურა.

**ჯართა მცირე სექციის კრება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 12 თავრიდის სასახლეში შესდგა გაერთიანებული სხდომა საპოლკო, ბატალიონების და პეტროგრადის მეციხოვნეთა ჯარის-კაცთა მცირე სექციისა. აღ. კ-ტის მხრივ გამოვიდა ლიბერი მან მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციისკენ, რაიცა ხელს უწყობს მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას. შემდეგ აღ. კომ. წევრმა ვოიტინსკიმ განაცხადა, რომ აღ. კომ. და მთავრობის წინააღმდეგ გაძლიერებული უცნობი ორგანიზაციები პროპაგანდას ჰმართავენო. ღამით მეციხოვნეთა წარმომადგენლები ჰმართავენ პროპაგანდას წერეთლის, კერენსკის და ჩხეიძის წინააღმდეგ.

ვოიტინსკიმ მოუწოდა სხდომას გაერთიანებისკენ აღმ. კომ. გარშემო და ორი რეზოლიუციით მიჰმართა მას: პირველი წინადადება ღაღადებს, რომ მკათათვის 3-ს და 4-ს საეწუხარო ამბები გამოწვეულია, არა მარტო ბოლშევიკების აგიტაციით, არამედ ჯარისკაცთა მასის სიბნელით და მოუწყობლობით. დღეს, ზავრაზმელთა აგიტაციას შეაქვს განხეთქილება ლაშქარში, ფლოტში და ემუქრება რევოლიუციას. რათა თავიდან ავიცილოთ მკათათვის ამბების გამეორება საჭიროა ყოველ ძალ-ღონის შემოკრება. შეერთებული ყრილობა მოუწოდებს, დრ. მთავრობის სურვილთა აღსრულებისკენ, ანარქიასთან და კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველად. შემდეგ ჯ.-კაცთა სექცია სთხოვს აღმ. კომ. ძლიერ საკითხად ჯარის დისციპლინა გამოაცხადოს რადგანაც დღეს ყველაზედ მეტად ერთიანი სარევოლიუციო ასპარეზი არის საჭირო. უნდა აღიკრძალოს მეციხოვნეთა სხდომები, მათ გარდა, რომელთაც ჰმართავს აღმასრულებელი კომიტეტი. დადგენილია ფრონტის საქმეთა გასაცნობად გაიგზავნოს ფრონტებზე 70 წევრი. დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტების სალაშქრო კომისრები, ამიერიდან სამხედრო მინისტრის უწყებით დაინიშნებიან—ცენტრალ კომიტეტების თანხმობით.

**სახელმ. სათათბიროს დრ. კომიტეტის განწყობილება დროებით მთავრობასთან.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 13. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტმა განიხილა თუ რა დამოკიდებულება იქონიოს დრ. მთავრობის გარდაქმნასთან მიიღო რეზოლიუცია, რომ ახალ მთავრობის შედგენის საშუალება, კომიტეტის დაუკითხავად, ვერ ჰყოფს უზრუნველად კოალიციის იდეის სწორე განხორციელებას. არღვევს მოსახლეობის ნდობას და სხ. ამისათვის დროებით კომიტეტს არ ძალუძს დადუმება ამ საბედისწერო წუთებში, იმ შედეგების გამო, რომელსაც მოგვიტანს ახალ მთავრობის შედგენის საშუალება.

**არქიმ. ვიტალის დაპატიმრება.**

**ჟიტომირი.** მკათათვის 12. ბერდიჩევის ციხეში დაპატიმრეს არქიმ. ვიტალი. იგი დაპატიმრებულია კაზატინის ახალ მონასტერში.

# სარევოლუციო დიქტატურა

**დროებ. მთავრობასთან ახლად დაარსებულ საბჭოს მიზანი.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 12. საოლქო რეფორმათა შესამუშავებლად დროებით მთავრობასთან ახლად დაარსებულ საბჭოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან ლაპარაკის დროს სთქვა: საბჭოს მიზანი ისეთი რეფორმებია რომლებიც, ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების დაცვასთან ერთად მათ სახელმწიფოს ერთობაც ჰქონდეთ სახეში. ყველაზედ რთული საკითხი—ეს ადგილობრივ ორგანოთა და ცენტრალ მთავრობის შორის ურთიერთობის დამყარებაა. სახელმწიფოს ერთობის პრინციპი მტკიცედ უნდა იქმნას დაცული.

**კრონშტადტის კომენდანტად—ტირკოვი.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 12. კრონშტადტის ციხის კომენდანტად პირველ რანგის კაპიტანი ნიკოლოზ ტირკოვი დაინიშნა.

**საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყრილობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 12. დროებით მთავრობამ გაითვალისწინა რა სახელმწიფოს მძიმე და მასთან აუტანელი მდგომარეობა, გადასწყვიტა მიჰმართოს ყოველგვარ ზომებს და მძიმე მისიის განსახორციელებლად იმოქმედოს სოლიდარობით ქვეყნის-საიმედო ელემენტებთან ერთად. ამ მიზნით მან გადასწყვიტა სულ მოკლე ხანში მოიწვიოს მოსკოვში სხდომა დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, რომელიც დროებით მთავრობის მიერ მოისმენს ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას და ახლო მომავლის მიზნების შესახებ.

**დროებითი სამხედრო კომიტეტი.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 12. ჯარის კაცთა დეპ. ცენტრალ კომიტეტის ბიუროს უკანასკნელ სხდომაზედ დაფუძნებულია დროებითი სამხედრო კომიტეტი, რომლის მიზანსაც შედგენს ცენტრალ კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანა—უკანასკნელ ამბების გამო. მანვე უნდა მოახდინოს სწრაფი ზომები მაშინ, როცა ცენტრალი კომიტეტი არ ჰმოქმედობს. მანვე უნდა დაიცვას თავრიდის სასახლე. სამხედრო კომიტეტში მონაწილეობს 30 კაცი.

**2 მილიარდ მანეთის საკრედიტო ბილეთები.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 12. დროებით მთავრობამ დაადგინა, რომ სახელმწიფო ბანკს კიდევ 2 მილიარდ მანეთის საკრედიტო ბილეთების გამოშვების ნება დართოს.

# ცენზურის შემოღება

**პეტროგრადი.** მკათათვის 12. დროებითმა მთავრობამ ბეჭდვის შესახებ 1917 წ. აპრილის 27-ს დადგენილებას დასძინა, რომ სამხედრო მინისტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველს ნება მიეცეთ შეაჩერონ ხოლმე ის გამოცემანი, რომელნიც სამხედრო მთავრობის განკარგულებათა წინააღმდეგ მოუწოდებენ. ამასთან ერთად მათ ნება ექნებათ შეაჩერონ ის გამოცემები, რომელნიც მცხოვრებთ სამოქალაქო ომისთვის აღიზიანებენ. ამავე დროს შეჩერებულ გამოცემათა რედაქტორები სამართალს მისცემენ.

# სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოები

**პეტროგრადი.** მკათათვის 12. ჯარის ზოგიერთა ნაწილებმა თავიანთ სამარცხვინო ყოფაქცევით, სამშობლოს დალატით, რუსეთი და რევოლუცია უფსკრულის პირას მიიყვანეს. მათი საქციელი აიძულებს დროებით მთავრობას, რომ ლაშქარში წესრიგისა და დისციპლინის აღსადგენად განსაკუთრებულ ზომებს მიჰმართოს. დროებითი მთავრობა, ჰგრძნობს რა სამშობლოს მომავალ ბედის პასუხისმგებლობის სიმძიმეს, საჭიროდ სცნობს: 1) ომის გათავებამდის სამხედრო პირთა ზოგიერთა მძიმე დანაშაულობისთვის დასასჯელად კვლავ შემოღებულ იქმნას სიკვდილით დასჯა. 2) მძიმე დანაშაულობის დაუყოვნებლივ განსასჯელად დაარსდეს ჯარის კაცებისა და ოფიცრებისაგან შემდგარი სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოები.

ამისდა მიხედვით დროებით მთავრობამ დაადგინა: 1) ფრონტზე უდიდეს სასჯელად დახვრეტა შემდეგ დანაშაულობისათვის იქმნას შემოღებული: სამხედრო და სახელმწიფო ღალატისათვის (1867 წ. სამხედრო დადგენილებათა კრებული. მე 243-ე და მე-273-ე დებულების მე3 ე პუნქტი. გამოცემა მე-4-ე). მტრის მხარეს გადასვლაზე, ბრძოლიდან გამოქცევისათვის, ბრძოლის დროს დაჭერილ ადგილის თავის ნებით დატოვებისათვის, ბრძოლაში მონაწილეობის თავიდან აცილებისათვის (მე-136-ე, მე-245-ე და მე-246-ე მუხლები და მათი შენიშვნა მე-22-ე წიგნი), მტერთან შეთანხმებისათვის, მტრის ხელში გადასასვლელ წაქეზებისთვის, მტრის წინააღმდეგობის უარისათვის (მე-246-ე მუხლი. მე-22-ე წიგნი), წინააღმდეგობის გაუწევლად ტყვედ დანებებისათვის (მე 248—250 მუხლები. მე-22-ე წიგნი), თავის ნებით მტრის წინ საყარაულოს დატოვებისათვის (158 მუხლი, მე-22-ე წიგნი). ოფიცრებისა და ჯარისკაცებთაგან [illegible] ძალადობისათვის (მე-98-ე მუხლის მეორე ნაწილი და 101 მუხლი მეორე ნაწილის ლიტერი 3. მე-22 ე წიგნი). უფროსების საომარ ბრძანებებისა თუ განკარგულებათა წინააღმდეგობისათვის, და მათ საწ ნააღმდეგოდ წაქეზებისათვის, (მე-106-ე, მე-107, მე-110-ე და მე-112 მუხლები. მე-22 წიგნი). ყარაულზე თავდაცემისათვის, მათ განზრახ მოკვლისათვის, თუ იარაღით წინააღმდეგობისათვის (117 და 118 მუხლები. მე-22 ე წიგნი). განზრახ მოკვლისათვის, დიდ შეურაცხყოფისათვის, ცარცვა-გლეჯისათვის, (მე 279-ე მუხლი. მე 22-ე წიგნი)—მხოლოდ ლაშქრის საბრძოლო რაიონში.

ასეთივე სასჯელით დაისჯებიან მტრის ჯაშუშები (კანონთა კრებული. სისხლის სამართლის დებულებათა მე-15 ე ტომი. 1909 წ. გამოცემა 119 მუხლი).

II) ბრძოლის ასპარეზზე სამხედრო სარევოლუციო სასამართლოების დასაარსებლად შემოღებულ იქმნას შემდეგი წესები: 1) სამხედრო სარევოლუციო სასამართლოების დივიზიებში შემოღება, დივიზიის უფროსის განკარგულებით შეიძლებოდეს.

2) სასამართლოში სამი ოფიცერი და სამი ჯარისკაცი უნდა იყოს. თავმჯდომარეს აირჩევენ თავიანთ შორის.

3) სამხედრო სარევოლუციო სასამართლოს წევრები ცალკე საქმეთა განსახილველად კენჭის ყრით აირჩევიან. მხოლოდ კენჭი სამხედრო ნაფიც მსაჯულების სიაში ჩაწერილ ოფიცერ-ჯარისკაცებთ ეყრება. ეს სია ჯარის იმ ნაწილში უნდა იყოს შედგენილი სადაც სასამართლო არსდება. (სამხედრო უწყების ბრძანება 1917 წ. № 336, მე-3-ე შენიშვნა). იმ შემთხვევაში, როდესაც ხემოხსენებულ სიებით სასამართლოს შედგენა შეუძლებელი იქნება, მაშინ სასამართლოს წევრებათ შეიძლება პოლკისა თუ დივიზიონის კომიტეტების წევრებიც იყვნენ არჩეულები.

4) სამხედრო სარევოლუციო სასამართლოებში პასუხის საგებლად იმ დივიზიის ოფიცერ-ჯარისკაცები იქნებიან მიცემულნი, რომელშიაც იგია დაარსებული. სადაც სასამართლო არ იქნება, მახლობელ დივიზიის სასამართლოს ისარგებლებენ.

5) დივიზიის უფროსის ცნობები სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოს მოქმედების დაწყობისათვის კანონიერ საბაბად უნდა ჩაითვალოს. მოქმედების ასეთივე კანონიერი საბაბი იქნება დროებით მთავრობისა და სამხედრო მინისტრის რწმუნებულობით, სადივიზიო უმაღლეს კომიტეტების უფროსთა და კომისარების ცნობა. პოლკის კომანდირებს სამხედრო რევოლუციონურ სასამართლოს დასაარსებლად დივიზიის უფროსებთან შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიათ.

6) ცნობებში აღნიშნული უნდა იყოს: ა) დანაშაული და მისი დრო და ადგილი, ბ) დამნაშავე, გ) მოწმები და სხვა და სხვა საბუთები.

7) გამოძიება იმ წესით უნდა აწარმოვონ, რომელიც პოლკის სასამართლოს საქმეთა წარმოების წესდების მე-36-ე—45 მუხლებშია ნაჩვენები (სამხედრო უწყების ბრძანება 1917 წ. № 344).

8) სამხედრო-სარევოლუციო სასამართლო ვიდრე საქმეებს გაარჩევდეს დამნაშავენი დატუსაღებულები იქნებიან.

9) საქმე სამხედრო-სარევოლუციო იმ წესების მიხედვით უნდა აწარმოვონ, რომლებიც პოლკის სასამართლოებშია შემოღებული.

10) იმავე წესებით, ბრალმდებელს ბრალდებულს და დამცველს საქმეში მონაწილეობა შეუძლიათ.

11) საქმე ხმის უმეტესობით გადასწყდება. ხმების თანასწორობის დროს საქმეს სასამართლოში მიცემულის სასარგებლოდ სწყვეტენ.

12) თუ საქმის განხილვის დროს სასამართლო საქმეს გაურკვევლად სცნობს და წინასწარ გამოსაძიებლად გადაეცემა.

13) თუ სასამართლო განაცხადებს, რომ ამა და ამ საქმის განხილვა მისი საქმე არ არის, მაშინ საქმე იმ სასამართლოში გადავა, რომელსაც კანონით ევალება მისი განხილვა

14) დადგენილება სამჯავროში გამოცხადებისამებრ შედის მოქმედებაში.

15) იმ შეთხვევაში, თუ სასამართლო საჭიროდ სთვლის სასჯელის შესუმსუბუქებას—იგი ლაშქრის მთავარსარდლებთან აღძრავს შუამდგომლობას. ამასთან დადგენილების სისრულეში მოყვანა შუამდგომლობის გადაწყვეტამდის გადაიდება.

III—ეს დადგენილება ძალაში ტელეგრაფით შევიდეს.

ხელს აწერენ: მინისტრთა თავმჯდომარე და საზღვაო მინისტრი კერენსკი, იუსტიციის მინისტრი ეფრემოვი და სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალმაიორი იაკუბოვიჩი.

# ეროვნული საკითხი

**შვედელთა სახალხო პარტიის წარმომადგენლები სეიმიდან გავიდნენ.**

**ჰელსინგფორსი.** მკათათვ. ს 12. სეიმის დეპუტატებმა: პროფესორმა ესტლიანდერმა, როზენკვისტმა და ექიმ ფრეიმ, (შვედელთა სახალხო პარტიელები) ფინეთის დამოუკიდებლობის კანონის მიღების გამო ტალმანს თავიანთ სადეპუტატო რწმუნებულების მოხსნა განუცხადეს.

**სტახოვიჩის მოხსენება დროებით მთავრობას ფინეთის გამო**

**პეტროგრადი.** მკათათვის 12. მკათათვის 11 ს და 12-ს დრ. მთავრობის მიერ გამართულ სხდომაზედ ფინეთის გენ.-გუბერნატორმა სტახოვიჩმა მთავრობას ფინეთის მდგომარეობის შესახებ მოხსენება წარუდგინა. შეეხო რა სეიმის ცნობილ დადგენილებას, სტახოვიჩმა განაცხადა, რომ ამის შესახებ ოფიციალი ცნობები არ მიუღია; კერძო წყაროებიდან ჩანს, სეიმის დადგენილების შინაარსი და ფინელთა განზრახვა, რომ იგინი საგანგებო დელეგაციით აცნობებენ დროებით მთავრობას. სტახოვიჩმა აღნიშნა ფრიად გაძლიერებული აგიტაცია, რომელსაც აწარმოებენ ფინეთში დროებით მთავრობის წინააღმდეგ. დროებით მთავრობამ მოისმინა რა სტახოვიჩის მოხსენება, დაადგინა არ მიიღოს არავითარი დადგენილება სეიმის გადაწყვეტილების შესახებ საქმის ეკონომიურის და ფინანსიურის თვალსაზრისით. ვალიუტის საკითხის შესახებ დროებით მთავრობამ საჭიროდ სცნო სპეციალ ორგანოს დაარსება. ამ ორგანოს მიენდობა ვ ქრობის და ვალიუტის დამოკიდებულების შემუშავება ფინეთ-რუსეთის შორის. მკათათვის 12-ს სტახოვიჩი წავიდა ფინეთში, საიდანაც სულ მოკლე ხანში დაბრუნდება ფინელ დელეგაციასთან ერთად.

# რუსეთი და უცხოეთი

**პროექტი ოკეანეზე გადახატან ტვირთის ტარიფის დაწევაზე**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 11. სახელმწიფო დეპარტამენტში და ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ოკეანეზე გადასატან ტვირთზე დაწესებულ ტარიფის შემცირების მიზნით ძირითად გადასაწყვეტად შეთანხმების პროექტი შეტანილი. ამ შეთანხმებით ამერიკისა და ინგლისის მთავრობას არსებულ სატარიფო ფასების დაწევის გარდა მოკავშირე სახელმწიფოთა სავაჭრო გემების ატლანტიის ოკეანეზე ფაქტიური თვალ ყურის დევნა ეთხოვებათ. ყველა მოკავშირე სახელმწიფოებმა წარადგენილ პროგრამაზე თანხმობა განაცხადეს. რაც შეეხება იაპონიას, განზრახულია, რომ მისი საკომერციო ფლოტი ატლანტიდის ზღვაზე სავაჭრო მოძრაობას წყალქვეშითაგან დაცვით ემსახუროს.

**სოციალისტურ კონფერენციის მოწვევა.**

**ლონდონი.** მკათათვის 13. თემთა პალატაში რუსის დელეგატებმა ბრიტანელთა შორმის პარტიის წევრებთან ერთად ბჭობაზე ლონდონში მკათათვის 26 და 27 მოკავშირე ქვეყნების სოციალისტურ კონფერენციის მოწვევა გადასწყვიტეს.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **ქალაქის არჩევნებისათვის.** ყველა იმ პირს, ვისაც ჰსურს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს უნდა ჰქონდეს, ეგრედ წოდებული საარჩევნო ბარათი. თვითეულმა ამომრჩეველმა ეს ბარათი უნდა წარადგინოს საარჩევნო შენობაში შესვლის დროს. თუ ამ ბარათს არ წარადგენს ისე საარჩევნო ყუთამდე არ მიუშვებენ და საარჩევნო უფლებას დაკარგავს. ეს საარჩევნო ბარათები დაურიგდება ამომრჩევლებს სახლებში, მაგრამ შესაძლოა დამტარებლებმა ყველა ამომრჩეველი ვერ იპოვოს და ბარათი დაიკარგოს. ამიტომ საჭიროა 1) თვალყური ვადევნოთ დამტარებლებს, რომ ჩააბარონ ყველა ამომრჩეველს და 2) ჩაუბარებელი ბარათები დროზედ მიიღონ ამომრჩევლებმა. ბარათების დატარება დაიწყება მკათათვის 14 ს და შესწყდება მკათათვის 27 ს. ვინც ამ ხნის განმავლობაში საარჩევნო ბარათს ბინაზედ არ მიიღებს მას შეუძლია მკათათვის 28 და 29 მიიღოს ბარათი საარჩევნო კომიტეტის კანცელარიაში (გოლოვინის პროს. № 21), ხოლო არჩევნების დღეს ე. ი. მკათათვის 30-ს ბარათების მიღება შეიძლება ყველა იმ შენობაში, სადაც დანიშნულია არჩევნები.

◆ **გადასახადების მოკრეფა.** მილიციის უფროსი წინადადებას აძლევს მილიციის კომისარებს გულმოდგინეთ შეუდგენ სხვა და სხვა გადასახადის მოკრეფას.

◆ **ახალი გიმნაზია.** მომავალ ენკენისთვიდან თბილისში (ვანქის პატარა ქუჩა) არსდება ებრაელების გიმნაზია ყველა ეროვნების ორთავე სქესისათვის. ამ თავითვე გიმნაზიაში 4 კლასი იქნება. გიმნაზია შეინახება ებრაელ მუსტერის მიერ გადადებულ ფულებით.

◆ **სასურსათო გამგეობა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტთან მოეწყო სასურსათო გამგეობა. ამ გამგეობის წევრებად მკათათვის 13-ს აირჩიეს გოლუბიტნიკოვი (სალდათი), გოროდნევი (სალდათი) და კნიშევი (მუშა). თითო მათგანს თვიურად 300 მან. დაენიშნა ჯამაგირად.

◆ **ანდერძის დახახრული.** დ. ზ. სარაჯიშვილის მთავარი კანტორა სწერს თბილისის ქალაქის გამგეობას: სერგეევ ს ქუჩაზე არსებული სახლი, რომელიც განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილს ეკუთვნოდა, ქ-ნ ეკ. ი. სარაჯიშვილის გარდაცვალების დროს ამ უკანასკნელის საკუთრებას არ შეადგენდა. ამის გამო თანახმად ანდერძისა, ქალაქის თვითმართველობამ, თანახმად ქ-ნ ეკ. სარაჯიშვილის ანდერძისა, სახლის ნაცვლად 200,000 მანეთი უნდა მიიღოს.

◆ **სურსათი.** მკათათვის 13—14-ს სასურსათო კომიტეტის სახელზე მოვიდა 26 ვაგ. ფქვილი. კომიტეტმა გამოიწერა ეისკიდან 1000 ფუთი ერბო, რომელსაც თბილისის კოოპერატივებს დაურიგებს გასასყიდად. ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ შემოღებულ წესებით, თბილისის საუბნო სასურსათო კომიტეტებს ვაჭრებმა ყოველ ორშაბათობით უნდა წარუდგინონ სია პირველ საჭიროების საქონლისა, ხოლო საუბნო კომიტეტებმა ეს ცნობები უნდა მიაწოდონ საქალაქო სასურსათო კომიტეტს, მაგრამ დღემდისინ არავითარი ცნობები არ წარმოუდგენიათ საქალაქო კომიტეტისათვის 1, 9, 11, 12 უბნების კომიტეტებს. ამის გამო ყოვლად შეუძლებელია გაიგოს კაცმა, რა და რა საქონელი მოიპოვება თბილისში და რა არ არის.

◆ **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი ამით აცხადებს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ შაბათს, მკათათვის 15-ს, მოხდება წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო ყრილობა ქართულ გიმნაზიის შენობაში, საღამოს 9 საათზე. კრების საგანი: საქალაქო არჩევნებისათვის მომზადება და დარაზმვა ჩვენი წევრებისა და თანამოაზრეებისა. მოხსენებას წაიკითხავს ქალაქის არჩევნების გამო გიორგი ჟღენტი. კომიტეტი სთხოვს წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას და რაც შეიძლება მეტი თანამოაზრენი მოიყვანონ.

◆ **საექიმო პერსონალის ყრილობა.** დღეს, მკათათვის 15. კავკასიის საექიმო საზოგადოების შენობაში 10 საათ. დილით იწყობა ყრილობა თბილისის გუბერნიის ექიმების, ფერშლების, ფარმაცევტების და ბებია ქალების ყრილობა. განსახილველია 1) პოლიტიკური მომენტი და მასთან დამოკიდებულება. 2) რეორგანიზაცია საგუბერნიო საექიმო უწყებისა დემოკრატიულ კოლეგიალურ წიადაგზე. 3) ყოფა-ცხოვრების საკითხიბი.

## კავკასია

◆ **საალყო წესები კავკაზში.** თერგის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით ქ. კავკაზში საალყო წესები გამოცხადებული. ქალაქის გამგეობა მინდობილი აქვს სამხედრო კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან: თერგის ატამანი მ. კარაულოვი, დროებით მთავრობის კომისარი მიხაილოვი, მ. და ჯ. დეპ. თავმჯდომარე სკრინიკოვი, კავკასიის ლაშქრის საოლქო საბჭოს თავმჯდ. შჩედრინსკი, ქალაქთა კავშირის თავმჯდ. ტ. ჩემოევი, მე-6-ე მსროლელთა დივიზიის უფროსი ვოლაშინი პეტრიჩენკო და ბრიგადის კომანდირი—რასტორგუევი.

◆ **განკარგულება მხედრობის შორის.** კავკასიის მხედართ-უფროსმა ბრძანება გამოსცა, რომელიც ავალებს აფიცრებს, სალდათებს და სხვა მოხელეებს, რაც ბინიდან სადმე წავლენ, თან იქონიონ მოწმობა თავიანთ ვინაობის შესახებ.

◆ **კალა აბაშიძე** დეპეშით ულოცავს აკაკი ჩხენკელს, რომ მშვიდობით გადაურჩა შეიარაღებულ თავდამსხმელებს.

◆ **ხალხთა კავშირის** ამიერ-კავკასიის განყოფილებას სწრაფად სპარ-დება მოინგარიშენი (პარსეთში გასაგზავნად.

◆ **რედაქციისაგან.** საქართველოს 150—1 ნომრებში დაბეჭდილი წერილები: „საქართველოს ტერიტორია“ წარმოადგენს გ-ნ პავლე ინგოროყვას მიერ საქ. ერ. დემ. პარ. ყრილობაზედ წარმოდგენილ მოხსენების ანგარიშს. მთელი მოხსენების სრული ტექსტი ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება.

# ძველი ტფილისი

**აღწერანი და მცხოვრებთა რაოდენობა.**

მეფე ერეკლეს დროს, თბილისი ოთხჯერ იქმნა აღწერილი, როგორც კომლეულად, ისევე სულეულად. მეორეთ აღწერა*) მოხდა 1769 წ. იმ დროს, როცა აკადემიკოსი გულდენშტედტი თბილისში იყო; მან აღწერა ტფილისის გლასონები, ხალხი, ვაჭრები, სამეფო წყობილება და სხვ.

მეორე აღწერა ტფილისისა ეკუთვნოდა ევროპაში გაზრდილს და ნასწავლს პაატა ბატონიშვილს; ამ აღწერამ აღმოაჩინა, რომ 1769 წ. თბილისის მცხოვრებთა რიცხვი იყო 85 ათასი სული ორივე სქესისა, ხოლო კომლეულად იყო 21 ათასი კომლი.

მესამე აღწერა მოხდა 1780 წ. აღწერეს ქართლ-კახეთ-ტფილისი. აღმწერი არ ვიცით ვინ იყო, ხოლო მეთაურებათ იყვნენ. სოლ. ლეონიძე—ქართლსა და ტფილისში და გარს. ჭავჭავაძე—კახეთში. აღწერა საჭირო იყო რუსქართველთა იმ ტრაქტატისათვის, რომელიც მეფე ერეკლესა და ეკატერინე იმპერატრიცას შორის იქმნა დადებული.

ამავ დროს აღწერილ იქმნა ქართლისა და კახეთის მცხოვრებთ თავადაზნაურთა რიცხვიც და მათი გვარ-ოვნობის ისტორია; ეს აღწერა დაცულია ჩვენს დრომდე. დაბეჭდილი იყო ჟურ. „ივერია“-ში. ეს აღწერა ეკუთვნის იმ დროის ცნობილს, თელავის სემინარიის რექტორს დავით მესხიშვილს.

1780 წ. აღწერით აღმოჩნდა, რომ ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი ბევრათ ნაკლები იყო, ვიდრე 1769 წ. სულ 75 ათასი მცხოვრები, ამათში 50 ათასი ქართველი იყო ორივე სქესისა, 10 ათასი სომეხი, 10 ათასი მაჰმადიანი, რუსი, პოლონელი, ნემეცი და იტალიელი მცირე რიცხვი. ქართველი ურია 5 ათასი. ქართველი ებრაელნი ამ დროს ტფილისში პირველად იყვნენ აღწერილნი.

ეს ცნობები მოთავსებულია დავით რექტორის მიერ გადაწერილი ძველი „დილარიანის“ ბოლოში; ეს „დილარიანი“ შენახული ჰქონდა სარდლიანთ მოურავს, მწიგნობარს და ძველი წიგნების გადამწერს დავით ამირიძეს. ამის მდიდარი ბიბლიოთეკა, მის სიკვდილის შემდეგ, მისმა შვილებმა შესწირეს წერა-კითხ. საზოგადოებას; ამ ხელთნაწერში შენიშნათ ნათქვამი იყო შემდეგი:

„ქართველ ურიანი ტფილისში სცხოვრობენ ვაჭრობით, მათ აქვთ ორი სალოცავი თორა, ორიც სავაჭრო ქარვასლა, ერთ ქარვასლაში მათ უწყვიათ სულ სტამბოლიდამ მოტანილი ძვირფასი საქონელი“.

მაშინ ურიები სცხოვრობდნენ თურმე სიონის შეყოლებ, ფეთხაინის ძირს; თვით ეს სიტყვა „ფეთხაინი“ ურიულათ თურმე სასაფლაოს ჰნიშნავს. ასე, რომ ამათი სასაფლაოც ვითომც აქეთ ყოფილა ძველათ.

ტფილისის მაშინდელი ურიები მდიდრები იყვნენ თურმე. როგორც ვთქვით, მათ ტფილისში ორი სალოცავი ჰქონიათ 1794 წლამდე. ორიც ქარვასლა სჭერიათ; ერთი ქარვასლა მათ ხოსრო მირზამ, ანუ როსტომ მეფემ აუშენა XVII საუკ. ნახევარში. ეს მეფე მათ დიდ მფარველობას უწევდა, ეხლანდელი ფრიდონოვის ქარვასლა ძველათ ურიების საკუთრება იყო. როსტომ მეფის დახმარებით ურიებმა მგზავრობა იწყეს სავაჭროთ სპარსეთსა და ოსმალეთში.

როსტომ მეფე ურიებს მფარველობის გარდა საჭიროთ თ ნხითაც ეხმარებოდა. ტფილისში ურიებს ოთხი ქუჩა ეჭირათ, ფეთხაინის უბნიდან მოყოლებული მტკვრის პირამდე. ყველა ესენი აკლებულ იქნენ 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის მიერ. მიზეზი ამ აკლებისა ის იყო, რომ ქართველი ურიები რუსეთშიაც მგზავრობდნენ სავაჭროდ. ეს გარემოება მაჰმად-ხანმა მტრობად მიიღო. ურიებს კი იმედი ჰქონდათ, რომ ხელს არ გვახლებსო, რადგან ურიები ვართ და არც გაიხიზნენ. ამ უდიერობის შემდეგ ტფილისში ურიათა რიცხვი სულ შემცირდა; იმ დროს, როცა საქართველოს სამეფო რუსეთს შეუერთდა, ტფილისში ურიები სულ 20 კომლი და აღმოჩნდა ისიც ღარიბ-ღატაკი.

*) პირველ აღწერის ცნობები არა გვაქვს.

მეოთხეთ ტფილისი აღწერილ იქმნა 1790 წ. მეფე ერეკლეს დავალებით, დავით რექტორის მიერ. ამ აღწერის ცნობების მიხედვით იმ დროს ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი ბევრით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე 1780 წ. იყო. მეოთხეთ აღწერის დროს, ტფილისში აღმოჩნდა სულ 72 ათასი სული, ძველზედ 8 ათასით ნაკლები. ამისთვის დავით რექტორი შენიშნავს, რომ მიზეზი ამის ის არისო, რომ ხშირის ომებისა და თავდასხმისაგან მცხოვრებნი ტფილისიდამ სოფლათ იხიზნებიანო. 1790 წ. აი რამდენი ყოფილა ტფილისში: 44 ათასი ქართველი, 12 ათასი სომეხი, 5 ათასი ურია, 10 ათასი მაჰმადიანი და 2—3 ათასიც სხვა და სხვანი.

**ტფილისის უბნები.**

მაშინ ტფილისი ირგვლივ გაიყოფოდა რვა ნაწილად: 1) ქვაშვეთის უბანი ანუ მთელი მთაწმინდა და ამის მიდამოები. 2) გარეთ უბანი, ამაში ჰყვება ყაბახიც. 3) განჯის კარი; ნ ავანაანთ უბანი, ამაში ჰყვება კალა, ანუ სოლოლაკიც. 5) ავლაბარი, ანუ ისანი. 6) ჩუღურეთი-კუკია, ამის საზღვრები აღმოსავლით ისანი, დასავლით დიდუბის დასაწყისი. 7) ვერა და 8) სეიდაბადი.

ხელოსანთა სახელოსნოები და სავაჭროები იყო შემდეგ ადგილებში: 1) სირაჯ-ხანა—ავლაბრის, ანუ ისანის შეყოლება აღმართზე; 2) ჰონ-ხანა (ტყავის ხელოსნები მექუდენი) იყო დაბურულ ბაზაზხანის ახლო; 3) ხარაზ-ხანა—სიონის პირდაპირ; 4) ყასაბ-ხანა—მოედნის ახლოს; 5) ზარაბხანის უბანი. ქართველ მეფეთა ზარაფხანა 1803 წ. ქართველმა სამღვდელოებამ წმიდა სანთლის ქარხანად გადააკეთა. დღეს აქ აღარაფერია. ეს ძველი სახლი, სადაც იჭრებოდა ქართული ფული ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა, მაგრადაა მთლად სდგას სინოდის კანტორის გვერდით.

სხვა კუთხე-უბანი დასახელებულ უბნებზე იყო მიწერილი და მიკედლებული.

შინაგან ტფილისი განიყოფოდა ასე: სიონის უბანი, ფეთხაინის უბანი, კვირაცხოვლის უბანი, მეიდნის უბანი, მეიდანი ანუ ათ-მეიდანი, ცხენის მოედანი, ჯვარის მამის უბანი, აბანოების უბანი, დაბახანა, ზარაფ ხანის უბანი, ბატონიშვილების უბანი. მეიდნის თავი, და ბევრიც სხვანი. თითო უბანში ზოგში მოყოლებული იყო ათი ქუჩა სხვა და სხვა, ზოგში 15 ქუჩა, ზოგში მეტ-ნაკლები. ყველა ქუჩას თავის სახელი ჰქონდა.

სახლები იყო ტფილსში ქვითკირის, მიწური და თლილის ქვებისაც. სახლების უმეტეს ნაწილს ყავარი ეხურა. ორ-სართულიან სახლების უმეტესი ნაწილი აივნებიანი და ფერად მინის შუშაბანდიანები იყო. შპალერის ხმარება მაშინ არ იცოდნენ, მის მაგიერ ფერად საღებავით ღებვა იცოდნენ.

სახლების უმეტესი ნაწილი ორ სართულიანები იყო, ასეთი სახლები ზოგი დღემდეც არის თბილისში მთლად დაცული. სამ სართულიანი სახლებიც ყოფილა, ხოლო ყველა ესენი 1795 წ. დაუქცევია აღა-მაჰმად ხანს და მთლად მოუსპია. მაშინდელი სამ სართულიანი სახლი დარჩენილია მხოლოდ ერთი სასახლე; ეს არის, ტფილისის სიონის ტაძრის გვერდით, დღეს სომხის საკუთრება, დიდი ქარვასლა, რომელსაც ეზოში წყლის ჰაუზიც აქვს.

ამ უზარ-მაზარ შენობაში ძველად ტფილელები (მიტროპოლიტები) სცხოვრობდნენ; აქვე იყო საკათალიკოსო სკოლა, სასულიერო გამგეობა (კონსისტორია) სამღვდელოების საწვრთნებელი, ანუ სასულიერო და საეკლესიო წიგნებთა საწყობი და თვით ტფილელის მდივან ხანაც, ე. ი. კონსისტორიის (კანცელარიის) დარბაზები. ამ ქარვასლას დღესაც ეტყობა თავის სიძველის ნიშნები სამ სართულიანი სახლებისა ამის მეტი სხვა არა ვიცით რა.

მეფე ერეკლეს სასახლე გახლდათ ანჩისხატის ეკლესიის აქეთ, ანუ სომხების ვანქის მახლობლად, ეხლანდელი მეხრანიანთ ხიდის ახლოს, სამხრეთით; მეფე ერეკლეს სასახლე იყო სამ სართულიანი, კარგად გაკეთებული, ავანებით, შუშაბანდით და ბაღებით; ეს სახლი მთლად მოსპობილ იქმნა, ისე, რომ მის კედლებიც აღარ დარჩენილა 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის დროს. ამის შემდეგ 1796 წ. მეფე ერეკლემ ხელ-და-ხელ გაიკეთა ის ორ სართულიანი სახლი თავის კარის ეკლესიით, რომელიც დღესაც სდგას მთლად ანჩისხატის უბანში, ამავ სასახლის კარის წმ. გიორგის გვერდით ამ სახლში მიიცვალა მეფე გიორგი. ამავ სახლის ერთ ოთახში იქმნა მოკლული გენერალი ლაზარევი მარიამ დედოფლისაგან; ამის სახლი ოთახს 1860 წლებამდე ეტყობოდა ისტაკზე, ასე სთქვა ამ სახლის დღევანდელმა პატრონმა სომეხ სალამბეგოვმა. დავით რექტორის ცნობებითვე ვიცით შემდეგი:

1790 წ. ტფილისში იყო 24 დიდი სავაჭრო ქარვასლა. 14 ქარვასლა იყო სახელოსნო საამქრო. 4 ქარვასლა იყო მეფე ერეკლესი და ბატონიშვილებისა. ბატონიშვილებს მხოლოდ ერთ ერთი ქარვასლა შერჩათ, სიონის პირდაპირ, ესეც 1830 წლებში გაასხვიდა, დღეს იგი ონანოვის ქარვასლა არის.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება)

# ქართველ მეომართა ხმა

**ჩრდილოეთის ფრონტის ქართველთა და სომეხთა აღმასრულებელ კომიტეტების შეერთებული კრება**

1917 წელი, თიბათვის 25.

კომიტეტების შეერთებულმა კრებამ ორი თავმჯდომარე და ორი მდივანი აირჩია.

**თავმჯდომარენი:** 1) პოლკოვნიკი მიხეილ არეშევი და 2) ექიმი მიხეილ იშხნელი.

**მდივნები:** 1) ექიმი ბესარიონ ოქროპირიძე, 2) ექიმი იოსებ დემუროვი.

დღის წესრიგი წარმოდგენილი იშხნელისა:

1. ჩვენი საერთო ინტერესები.
2. შესაძლებელია თუ არა ჩვენი საერთო მუშაობა და თუ შესაძლებელია უნდა ვიმუშაოთ თუ არა?
3. სამუშაო გეგმა.
4. როდის უნდა იქმნეს მოწვეული ქართველთა და სომეხთა შეერთებული საერთო კრება.

სანამ ამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდა კრება, პოლკოვნიკმა არეშოვმა აღძრა შემდეგი კითხვა: შეუძლიან თუ არა დღევანდელ კრებას საერთო შეერთებულ სომეხ-ქართველთა კრების დაუკითხავად მიიღოს რაიმე დადგენილება ამ საკითხების შესახებ?

ექ. ოქროპირიძემ განაცხადა, რომ ქართველთა აღმასრულებელი კომიტეტი უფლება მოსილია იმსჯელოს ექ. იშხნელის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგზედ.

გალუსტოვმა სთქვა, ჩემის აზრით სომეხთა აღმასრულებელი კომიტეტიც უფლება მოსილია რაიმე გადაწყვეტილება გამოიტანოს წამოყენებულ საკითხების შესახებ. ასეთივე აზრისანი არიან იშხნელი, არეშევი, ინოსარიძე და სხვებიც ყველანი.

შეერთებული კრება აღმასრულებელ კომიტეტებისა ერთხმად იღებს იმ რეზოლიუციას, რომ ისინი უფლება-მოსილნი არიან გადასწყვიტონ იშხნელის მიერ წამოყენებული კითხვები, რომლებიც საბოლოოდ იქნებიან წარდგენილნი ქართველთა და სომეხთა შეერთებულ საერთო კრებაზე დასამტკიცებლად.

ექ. იშხნელის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგს თავმჯდომარენი კენჭს უყრიან საბოლოოდ დღის წესრიგად მისაღებად.

ექ. კობიაშვილს შემოაქვს წინადადება: იქნება დღევანდელმა ჩვენმა შეერთებულმა კრებამ უკრაინელებთან დაახლოვებაზედაც იმსჯელოს? კრება ერთხმად იღებს ნ. კობიაშვილის წინადადებას.

მიღებულია იშხნელის წარმოდგენილი დღის წესრიგიც.

მსჯელობა იწყობა დღის წესრიგის პირველ მუხლზედ.

**პოლკ. არეშევი.** ქართველები და სომხები ისტორიულად გადაბმულნი არიან, ბევრი საერთო ინტერესები აქვთ სულიერი, კულტურული, პოლიტიკური და ქონებრივი.

**ეძგვერაძე** უერთდება პირველ ორატორს.

**იშხნელი.** ჩვენ—ქართველები და სომხები უნდა შევერთდეთ ჩვენი მხარის კულტურულად აღყვავებულად და ასაღორძინებლად. სასიამოვნო და სასურველია, როდესაც მეზობლად კულტურულად მაღალი ერი ჰყავს ადამიანს. ჩვენ, როგორც დაჩაგრულ ერთა შვილნი, უნდა მჭიდრო ორგანიზაციებით ვიყვეთ შეკრულნი მოსალოდნელ კონტრ-რევოლუციის დასახვედრად. ამას მოითხოვს საერთო ჩვენი ინტერესები.

**რეზოლიუცია პირველ მუხლზედ:** შეერთებული კრება ქართველთა და სომეხთა აღმასრულებელ კომიტეტებისა საჭიროდ რაცხს მოახსენოს მე-28-ე კორპუსში მყოფთა ქართველთა და სომეხთა საერთო კრებას, რომ ნივთიერი, კულტურული და პოლიტიკური ინტერესები კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა და სომეხთა იმდენად გადახლართული არიან ერთმანეთში, რომ მრავალ საკითხების ერთობაში (ქართველთა და სომეხთა შორის) ეჭვიც კი არ იბადება.

**მეორე მუხლი.** ექ. კობიაშვილი. საერთო მუშაობისთვის საჭიროა ვიცოდეთ ავტონომიის შესახებ ჩვენი შეხედულობა.

**არეშევი.** სომხები ყოველნაირად მხარს დაუჭერენ საქართველოს ავტონომიას. რაც შეეხება სომხეთის ავტონომიას მას საერთაშორისო ხასიათი აქვს. ამიტომ ახლა ვერას ვიტყვით ავტონომიის შესახებ.

**მარქაროვი** უერთდება კობიაშვილის აზრს, რომ სომხებმა ისევე, როგორც ქართველებმა, აქვე უნდა გამოსთქვან თავიანთი აზრი და მოითხოვონ ავტონომია.

**ოქროპირიძე.** მას შემდეგ, რაც აქ სომხებმა აღიარეს საქართველოს ტერიტორიალურ-ეროვნული ავტონომია, შესაძლებლად სცნობს სომეხ-ქართველთა საერთო მუშაობას და რომ ეს მუშაობა მართლა ნაყოფიერი, რეალი და არა სიტყვიერი იყვეს უნდა გათვალისწინებულნი იყვნენ აგრეთვე ზოგიერთნი უთანხმოებანი, რომლებიც ან ძალით დანერგილნი არიან რუსეთის ძველი მთავრობის მიერ ან რაიმე მიზეზით აღმოცენდნენ სომეხ-ქართველთა შორის. ეს უთანხმოებანი უნდა გაირჩნენ და ამაში მოვრიგდეთ. მაგ. თბილისის საკითხი. არის მისწრაფება, რომ თუ საქართველომ ავტონომია მიიღო, თბილისი არ შევიდეს ავტონომიის ფარგლებში და ინტერნაციონალურ ქალაქად გამოაცხადოს. ამასკი ქართველი ხალხი ვერასდროს ვერ შეურიგდება. თბილისს ვერ მოაშორებენ საქართველოს ეს უნდა შეიგნონ სომხებმა. შემდეგ, თავში-საცემ საკითხავე წარმოადგენს ბორჩალოს, ახალ-ქალაქის და ახალ-ციხის მაზრები.

ექ. იშხნელი ეხება-რა ამ საგანს ამბობს: ექ. ოქროპირიძეს ალბად მეტისმეტი სიფრთხილით მოსდის როდესაც საქართველოს დედა-ქალაქ თბილისზე ასე ლაპარაკობს. ეტყობა ქართულ ანდაზას მისდევს და ისე იქცევა, რომ ხენაში გარიგება სჯობიან მკაში ცილობასაო. მე კი აქ ძალაუნებურად მახსენდება ჩვენი საზოგადო მოღვაწის გიორგი გვაზავას სიტყვები, ნათქვამი გაზეთის ერთ-ერთ ფელეტონში, რომ მას, საქართველო უთბილისოდ უთავო საქართველოდ აქვა წარმოდგენილი, ან წარმოვიდგინოთ რას ემგვანებოდა პოლონეთი უვარშავოთო. არა, არც ერთი ერი არ ინდომებს, ვგონებ, უთავობას და საქართველოც თავიანი იქნება, ასე რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია.

პოლკ. არეშევი უპასუხებს ამაზე, რომ ქართველთა მისწრაფება თბილისისკენ ფრიად კანონიერი და გასაგებია. ვერც მას წარმოუდგენია საქართველო უთბილისოდ ისე როგორც ინგლისი ულონდონოდ. თბილისი განუყოფელი უნდა იყოს საქართველოს ავტონომიურ ერთეულიდან. რაც შეეხება ბორჩალოს, ახალ-ქალაქის და ახალ-ციხის მაზრების გამოყოფას, ესეც არ უნდა იყოს უთანხმოების დამთესი ქართველ-სომეხთა შორის თუ ეს საკითხი გადაწყდება იმის და მიხედვით, თუ როგორ მოისურვებენ ამ მაზრაში მცხოვრები ხალხი. პრინციპი თვით გამორკვევისა აქაც უნდა გავატაროთ და ეს გაგვიადვილებს საქმეს.

თოფურია სომეხ-ქართველთა საერთო მუშაობას საჭიროდ სთვლის, რომ კონტრ-რევოლუციასთან, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლიან წამოჰყოს თავი ჯეროვანად შებრძოლება შევძლოთ.

მარქაროვი მოუწოდებს შეგნებულ მჭიდრო კავშირისა და ორგანიზაციისაკენ ორივე მხარეს. საკითხი თბილისისა, ბორჩალო-ახალქალაქ ახალციხისა არის ის გზა, რომლითაც შეუძლიან კონტრ-რევოლუციამ ისარგებლოს და ამიტომ ამ კითხვების მოგვარება საჭირო. ერთი-ერთმანეთს უნდა დაუთმოთ. ამის შემდეგ კამათი ისპობა.

**რეზოლუცია მეორე მუხლზე:** საერთო მუშაობა არამც თუ შესაძლებელია არამედ საჭიროც არის როგორც მოქალაქობრივი ისე ეროვნულ თავისუფლების განმტკიცებლად და მთელი ძალები ქართველ-სომეხთა ამისკენ უნდა იყვნენ მიმართულნი.

რეზოლუცია მიღებულია ერთხმად.

**მესამე მუხლი.** ექიმი ოქროპირიძე ამბობს რომ კავკასიის ცენტრში თითქო არა სჩანს მუშაობა ერთმანეთის შეთანხმებისკენ. ჩვენ უნდა გავიტანოთ ლოზუნგი შეთანხმებისა, რომ დამფუძნებელ კრებაზე ერთსულოვნად ხელი ხელ ჩაკიდებულნი გამოვიდეთ ჩვენი მიზნების განსახორციელებლად.

**ჯარის კაცი** თოფურია საჭიროდ სცნობს დაჩქარებას, რადგან დამფუძნებელი კრება მალე შეიკრიბება და ჩვენ მოუმზადებლები გამოვალთო.

ექ. იშხნელი კონკრეტულად ეხება მუხლს და იძლევა ქართველ-სომეხთა საერთო მუშაობის გეგმას: 1) დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის მომზადება, 2) რევოლუციის გაღრმავება, მისი ხელის შეწყობა, 3) ბნელი ძალების წინააღმდეგ საერთო ბრძოლა, 4) ეროვნულ საკითხში მკაფიო და გარკვეული მუშაობა, 5) საერთო კულტურულ-განმანათლებელი და ნივთიერად წინ წამწევი მუშაობა ჩვენს პოლკში.

ექ. იმხნელის მიერ წარმოდგენილი ეს გეგმა მიღებულია ერთხმად.

**მეოთხე მუხლი.** კრებამ დაადგინა საერთო კრების გამართვა რაც შეი-ძლება მოკლე ხანში მიენდოს ორივე მხრის აღმასრულებელ კომიტეტს.

**მეხუთე მუხლი.** ჯ.-კ. თოფურია არა სასურველად სცნობს ახლავე ბლო-კის შედგენას უკრაინელებთან რადგან ამით ველიკოროსებს გადავეკიდებით. უკრაინელებსა და ველიკოროსებს შო-რის ამ ბოლო დროს ძალიან გამწვავ-და დამოკიდებულებაო. ექ. ოქროპირი-ძე საჭიროდ სთვლის ახლავე მჭიდრო კავშირის დაჭერას უკრაინელებთან საერთო რევოლიუციონურ მუშაო-ბისთვის.

ჯ.-კ. თოფურია ხელმეორედ უთი-თებს ველიკოროსებსა და მალოროსებს შორის ურთი-ერთ გამწვავებას.

ჯ.-კ. გიორგი ეძგვერაძის აზრით სომხები და ქართველები ძალიან ჩა-მოვრჩით უკრაინელებსო და ამიტომ ჯერ მათ უნდა დავეწიოთ და შემდეგ შევუერთდეთ მათო.

ექ. იმხნელი. გიორგი ეძგვერაძეს უნდა ვუთხრა რომ თუ ჩვენ მალე არ შევუერთდით და არ დავიჭირეთ მჭი-დრო კავშირი უკრაინელებთან ისე ჩამოვრჩებით რომ ვეღარას დროს დავეწევით მათ.

ამის შემდეგ კამათი ისპობა და კრე-ბას წარედგინა ორი რეზოლიუცია პირველი ექ. ოქროპირიძისა ექ. კობიაშვილის დამატებით, მეორე ექ. თემუროვისა.

რეზოლიუცია I. შეერთებული კრე-ბა [illegible]

რეზოლიუცია II. შეერთებული კრე-ბა [illegible]

[illegible] შეილთა უცხო მხარეს შეკრებილთა დღევანდელი მსჯელობა და უსურვა კვლავაც ნაყოფიერი და ასეთივე ერთ-სულოვანი მუშაობა.

ექ. იმხნელს ასეთივე სიტყვით უპა-სუხა ექიმმა თემუროვმა რის შემდე-გაც კრება დაიხურა ტაშის ცემით.

კრების თავმჯდომარენი 1. პოლკ. არეშევი, 2. ექ. მიხეილ იმხნელი.

მდივნები: 1. ექ. თემუროვი, 2. ექ. ბ. ოქროპირიძე.

# კოოპერატიული მოძრა-ობა დუშეთის მაზრაში

**სარევიზიო კავშირის წესდება.*)**

ვინაიდან წვრილი კრედიტების ამ-ხანაგობებში საშუამავლო ოპერაციე-ბის წარმოებამ და მომხმარებელი სა-ზოგადოებების რიცხვმა და მოქმედე-ბის დიდად ზრდამ ერთობ გაართუ-ლეს საკოოპერაციო საქმეების წარ-მოება, ძლიერ საგრძნობი შეიქმნა სა-კოოპერაციო საქმეებში გამოცდილი პირების დახმარება. ამის გამო დუ-შეთის მაზრის მომხმარებელი საზო-გადოებები და საკრედიტო ამხანაგო-ბები იწვევენ კოოპერაციის სარაიო-ნო ინსტრუქტორს.

1. სარაიონო ინსტრუქტორი მოვა-ლეობას შეადგენ:

ა. კოოპერატივებში ანგარიშების (ბუღალტერობის), საქმეების, საშუა-მავლო და სხვა ოპერაციების წარმო-ების ხელმძღვანელობა.

ბ. კოოპერატივების გამგეობების მიახლოებით კოოპერატივების საქმე-თა რევიზიის წარმოება.

გ. მონაწილეობის მიღება კოოპე-რატივების სარაიონო ნაწილის წა-რმომადგენელთა ყოველგვარ კრებე-ბის თათბირზე და აგრეთვე ახალ გო-ბების სხდომებზე კრედიტების გახსნის განხილვის დროს და სხვ. დაბოლოს დასწრება კოოპერატივების საზოგადო კრებებზე და სხვა და სხვა სხდომებზე.

დ. კოოპერატივების საქმის წარმო-ებაზე (ბუღალტერია) კურსების და კოოპერაციაზე ლექცია ბაასის მოწყო-ბა.

**შენიშვნა:** ყოველ იმ კოოპერატივ, რომელიც დაარსდება ინსტრუქტორის

*) ვბეჭდავთ, როგორც საინტერესო და სახელმძღვანელო მასალას კოო-პერატივთათვის.

მოწვევის შემდეგ, ინსტრუქტორი პი-რველ წელს უფასოდ უწევს ხელმძღ-ვანელობას.

2. სარაიონო ინსტრუქტორი რეგუ-ლიარულად დაიარება საკოოპერაციო დაწესებულებებში არა ნაკლებ სამ თვე-ში ერთხელ და უფრო იმ დროს შე-ფარდებით, როცა დაწესებულებაში ხდება სხდომები სარევიზიო კომისიისა, გამგეობისა და სხვ. და საგანგებოდ, როდესაც მას გაიწვევს რომელიმე კო-ოპერატივი.

**შენიშვნა:** 1. ინსტრუქტორის გა-წვევის შესახებ კოოპერატივები უგ-ზავნიან განცხადებას ან პირდაპირ ინსტრუქტორს, ან ცენტრალ გამგეო-ბას, რომელთანაც პირდაპირი დამო-კიდებულება აქვს ინსტრუქტორს, ხო-ლო თუ ერთდა იმავე დროს რამდენიმე კოოპერატივისაგან იქნა მოთხოვნილი ინსტრუქტორის დახმარება, მათი და-კმაყოფილების წესრიგის განაწილებას ახდენს თვით ინსტრუქტორი და ამავე დროს მეორე რიგში მოყოლილ მო-თხოვნილებებზე კოოპერატივებს ატყო-ბინებს დახმარების რიგს.

**შენიშვნა:** 2. თუ რაიონში არსდე-ბა რომელიმე ნიადაგზე ამხანაგობების ახალი კავშირი, მისი მოთხოვნილება ინსტრუქტორის დახმარებაზე კმაყო-ფილდება დაუყოვნებლივ ჯერს გარეშე.

3. ინსტრუქტორს იწვევს კოოპერა-ტივების სარაიონო წარმომადგენელთა თათბირი ფარული კენჭის ყრით.

**შენიშვნა:** კენჭის ყრაში მონაწი-ლეობენ მხოლოდ თითო წარმომა-[illegible]

[illegible] ნელთა თათბირს და ამასთანავე ფა-რული კენჭის ყრით.

7. ინსტრუქტორის შესანახ ხარჯებს შეადგენს მისი ჯამაგირი 3000 მან. წლიურად და სამგზავრო არა უმეტეს 600 მან., რომელზედაც ინსტრუქტო-რი ადგენს დასაბუთებულ ანგარიშებს.

8. ინსტრუქტორის შესანახად კავ-შირში შესული კოოპერატივები იხ-დიან თითო აბაზს ყოველ თავის წევრზე, ნებაყოფნობით დამატებითი გადადებულ ფულს ამ ფონდის გასა-ძლიერებლად და ყველა ეს ფუ-ლი კოოპერატივებს შეაქვთ ცენ-ტრალურ გამგეობაში ამ მიზნით დაარსებულ ფონდისათვის.

**შენიშვნა:** თუ ასეთი გადასახადი აღემატა ინსტრუქტორის შესანახად ცრიცხულ თანხას, თათბირს შეუძ-ლიან საწევრო გადასახადი შეამცი-როს. ამასთანავე თუ რომელიმე კო-ოპერატივი უარს განაცხადებს ინსტ-რუქტორის დახმარებაზე თავის ხვედრს გადაჭარბებული თანხიდან უკან იბრუ-ნებს.

9. გარდა ზემო აღნიშნული საწევ-რო გადასახადისა, კოოპერატივები ინსტრუქტორის შესანახად სხვა რაიმე ხარჯებს არ იღებენ.

10. სარაიონო თათბირი ყოველ წლივ ირჩევს ერთ ერთ კოოპერატივის გამგეობას, რომელსაც ევალება:

ა. აღძრას შუამდგომლობა ინსტრუ-ქტორის შესანახად დახმარებაზე.

ბ. მიიღოს კოოპერატივებისაგან ხვე-დრი გადასახადი ამავე დანიშნულები-სათვის.

გ. აძლიოს ყოველ თვე ინსტრუქ-ტორს ჯამაგირი.

დ. თვალყური ადევნოს ინსტრუქ-ტორის მოღვაწეობას.

ე. მოწვევა კოოპერატივების წარ-მომადგენელთა სარაიონო თათბირის როგორც ჩვეულებრივ მოღვაწეობის ანგარიშების განსახილველად, ისე სა-განგებოსი, არა ნაკლებ სამი კოოპე-რატივის მოთხოვნით.

და ვ. მიიღოს განცხადებანი კოოპე-რატივებისაგან ინსტრუქტორის დახ-მარებაზე; ეს განცხადებანი გამგეობი-საგან გადაეცემა ინსტრუქტორს.

**შენიშვნა:** ინსტრუქტორის შესანა-ხად მოგროვილი ფული ინახება თათ-ბირის მიერ არჩეულს რომელიმე სა-კრედიტო დაწესებულებაში „ვკლა-დის" სახით.

სარაიონო ინსტრუქტორს ნება აქვს თავის პირდაპირი დანიშნულების გა-რეშე იშოვნოს სხვა ფასიანი საქმეც, მხოლოდ ცენტრალური გამგეობის თანხმობით. რომელთანაც აქვს ინსტ-რუქტორს პირდაპირი დამოკიდებუ-ლება.

# მთავარ-ანგელოზის ეკ-ლესიის გარშემო*)

**ქ. გროზნის ქართველ ჯარის კაცთა შეკითხვისა გამო.**

(წერილი რედაქციის მიმართ)

თიბათვის 10, კრების დადგენილე-ბით რუსებმა აირჩიეს „საეკლესიო საბჭო" რვა კაცი. ექვსი მათ შორის იყო საერო პირი, ზოგნი არა მრევლ-თაგანი, და ორიც სასურსათო „კამან-დის" სრულიად უცხო სალდათი, თი-ბათვის 11, ერთი ამ წევრთაგანი, ვინ-მე კატლიაროვსკი, წირვის დროს აუხ-ტა აივანზედ მგალობელთა გუნდს და აღუკრძალა ქართულად „უფალო შე-გვიწყალეს" გალობა; ურჩობისთვის დაემუქრა ეკლესიიდან დათხოვნას და განუცხადა, რომ ამიერიდგან ყველა საეკლესიო საქმეები და მართვა-გამ-გეობა „საბჭოს" ხელში გადავიდაო.

ამავე დღესვე, წირვის შემდეგ „საბ-ჭომ" ჩემს დაუკითხავად მიჰმართა ეკლესიის მნათეს და მისგან მოითხო-ვა საეკლესიო ყოველივე თანხა-ქონე-ბა; წიგნაკების მოუმზადებლობისა გა-მო მნათემ სთხოვა „საბჭოს" თავის [illegible]

[illegible] რი თანასწორი რიცხვით, როგორც რუსთაგან, აგრეთვე ქართველთაგან და უნდა იყოს იგი არჩეული უეჭვე-ლად საზოგადო სამრევლო ქართველ-რუსთა კრებაზედ, ჩემის, როგორც ეკ-ლესიის მოძღვრის თანადასწრებით.

ამნაირი ჩემი წინააღმდეგობა ან განცხადება დიდად იუკადრისეს „სა-ბჭოს" წევრებმა, ბევრჯერ დამამუქ-რეს ეპ. გრიგოლი, მაგრამ ვერას გახ-დნენ, ბოლოს დიდათ განრისხებულნი, მათი მეთაურნი, გულვერ-ლეიმანი, თითის ქნევით და მუქარით ფიცხლავ გაეშურნენ ეპ. გრიგოლისთან, რომე-ლთანაც იქონიეს ღამით ბჭობა რასაც, შედეგად მოჰყვა ეპ. გრიგოლის რე-ზოლიუცია, თიბათვის 14 თარიღით, რომელიც სიტყვით გამომცხადა თიბათვის 15, რომ, მე როგორც „უტა-კტიკო" და ჩემის მოქმედებით მრევ-ლის აღმშფოთებელი (იგულისხმეთ ჩე-მი წინააღმდეგობა „საბჭოსადმი") ვი-ქმენ მრევლისაგან და ეკლესიისაგან დროებით გაძევებული და ჩემს მაგიერ იქმნა დანიშნული მღვდელი კარტა-შევი და ქონება ეკლესიისა ჩა-ბარდა „საეკლესიო საბჭოს" (რუსი-ას).

ამისთანა უკანონო და განუკითხავ-უსამართლო ეპ. გრიგორის განკარ-გულებამ, როგორც მკითხველებს მო-ეხსენებათ, დიდი აღშფოთება გამო-იწვია, როგორც ჩემდამი რწმუნებულს ქართველ-მრევლთა შორის, აგრეთვე ფართო ქართველ-საზოგადოებაში და რომ გრიგორს ცოტათი მაინც დაე-ფარა თავის ტენდენციური საქციელი, კანტორას ამოეფარა; ექვსი დღის შე-მდეგ ასნაირი თავისი განკარგულები-სა, სახელდობრ თიბათვის 20-ს, მო-ახდინა თავის თავმჯდომარეობით კა-ნტორის კრება, რუსთა წევრების შე-მადგენლობით, და ამ კრებაზედ თავი-

*) დასასრული. იხ. „საქართ." № 152.

სი რეზოლიუცია დაადასტურა და უფრო მეტად გაარღმავა მით, რომ მე სრულიად დათხოვნილ ვიქმენ მთა-ვარ-ანგელოზის მოძღვრის თანამდე-ბობიდან.

აქ ნათქვამის შემდეგ ყოველივე კომენტარები, ვგონებ მეტი-ღა უნდა იყოს.

**დეკ. დავ. იაშვილი.**

# წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

**ქართველთა სამხედრო კავშირის კომიტეტი** გთხოვთ მოათავსოთ თქვენ გაზეთში შემდეგი ანგარიში იმ საღა-მოს შესახებ, რომელიც გამართა კავ-შირმა 25 ივნისს „ახალ კლუბის" სა-ზაფხულო შენობაში.

შემოვიდა:

ბალში შესასვლელ ბილეთებისა 1553 მან. 50 კ.

თეატრის ბილეთებისა 1375 მან. (ამ ფულში შემოწირულება 43 მან.)

| | |
|---|---|
| პროგრამებისა | 19.30 |
| ეტიშვოსი | 1341.00 |
| შამპანის | 163 65 |
| ფოსტისა | 79.18 |
| ლოტოსი | 324.00 |
| ჩაისა | 135.65 |
| ბუფეტისა | 1235.90 |
| ნაყინისა | 238.00 |
| ყვავილებისა | 228.75 |
| ნიშნების | 99.62 |
| გაზეთებისა | 23.05 |
| კრუშონისა | 770.20 |

(ამ ფულშია კაპიტან ტაპა-ჩერმო-[illegible] შემოწირულება—200 მან.)

[illegible]

წმინდა შემოსავალი დარჩა 5141.95. საღამოს გამართვაში მონაწილე-ობდნენ—ქართულ სცენის მსახიობი შალვა დადიანი, რომელიც განაგებდა საღამოს სამხატვრო ნაწილს, მოქანდა-კე ი. ნიკოლაძე, ქ-ბ-ნი ელო ანდრო-ნიკაშვილი, კნ. დ. დ. ჯავახიშვილი, ნ. დ. ქართველიშვილი, დ. გ. ახვლე-დიანი, ნ. ა. ლეჟავა, ს. ი. ციციშვი-ლი, ნ. გ. გველესიანი, ე. ტ. ჯავ-რიშვილი, დ. ბერეჟიანი და სხვანი.

ზემო აღნიშნულ პირებს, შემომწირ-ველებს და საერთოთ ყველას, ვინც ხელი შეუწყო საღამოს, ქართველთ სა-მხედრო კავშირის კომიტეტი მრავალ-რიცხოვან ქართველ მხედართა სახე-ლით სწირავს უგულითადეს მადლობას.

**ქართველთ სამხედრო კავშირის კომიტეტი.**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.12 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.88 | საღ. |
| ახ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | დილ. |


# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12, ქართულ სადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნო-ბელთ ამ დროს განმაცხადებაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად.

10—755—8

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარ-ტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და სა-ღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.

751

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარ-ტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—8

# ახალი საკრებულო

საზაფხულო სადგომი. მიხეილის ქუჩა № 131.

შაბათს, 15 მკათათვეს
**საგაფშვო საღამო, სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.**

კვირას, 16 მკათათვეს
**ოპერეტკა** რუსულ ენაზედ.
**სიმებიანი ორკესტრი.**

სტუმრები საზოგადო წესით.

2—768—1

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღა-მოობით 6 დან 8-მდე. კანის, ვენე-რიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავად-მყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—4)

ექიმი
**გ. შ. მგალობლიშვილი**
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
**გ. გ. ვეშაპიძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენე-რიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირ-დაპირ, რაზიკაშვილის ქუჩა, № 19.

ექიმი
**ზ. გ. მუხაძე**
იღებს ხიდთ-კაჭრით ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი [illegible]-ძისა. ტელეფონი № 5—71.

ექიმი
**გ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნი-ვერსიტეტის თერაპევტიული კლინიკე-ბისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპე-ციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალი
**ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა**
იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და ბებუთოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
**გ. ი. მაჩაბელი**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებ ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქ. № 4. (თ.—202—)

კბილის ექიმი
**კალანდარიშვილი**
[illegible]
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს
**მანგლისში**
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
**ე. ლ. შალამბერიძე**
იღებს საზღვაო და საშვილოსნო ავად-მყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომ-ლობით გაზეთი

# „ჯარის კაცი"

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომე-რი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისა-მართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци". Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—8 რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

# ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის" რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

10—740—7

# თეზის მრეწველნი ძმ. ძინძელოვები

პუშკინის ქუჩა, ხაჯაპიროვის სახ., № 8, ტელეფონი № 112.

[illegible]